პირველადი გადაუდებელი დახმარების მექანიზმები

დამტკიცებულია
შპს მრავალპროფილიანი
საზოგადოებრივი კოლეჯი იმედის
დირექტორის 2021 წლის 24 დეკემბრის
N120 ბრძანებით

სარჩევი:

მუხლი 1. ზოგადი დებულებები 2

მუხლი 2. წესის შემუშავების სამართლებრივი საფუძვლები 3

მუხლი 3. პირველადი გადაუდებელი დახმარების უზრუნველყოფა 3

მუხლი 4. გადაუდებელი დახმარების გაწევისას რისკების პრევენცია 4

ცვლილებების აღრიცხვის ფურცელი 5

მუხლი 1. ზოგადი დებულებები

1.1კოლეჯში პირველადი გადაუდებელი დახმარების უზრუნველყოფისათვის შრომითი ხელშეკრულებით აყვანილია ექთანი, რომელიც საჭიროების შემთხვევაში განახორციელებს პირველად გადაუდებელ დახმარებას.

1.2.კოლეჯში თვალსაჩინო ადგილზე გამოკრულია ექთნის და საზოგადოებრივი უსაფრთხოების მართვის ცენტრის (112) საკონტაქტო ტელეფონის ნომრები.
1.3. კოლეჯის თანამშრომლებს ორ წელიწადში ერთხელ უტარდებათ პირველადი გადაუდებელი დახმარების ტრენინგი.
1.4.კოლეჯი იღებს ვალდებულებას პირველადი გადაუდებელი დახმარების საშუალებების ვარგისიანობაზე, ამისათვის მუდმივად ხდება არსებული და შესაძენი საშუალებების ვადის გადამოწმება და მხოლოდ გადამოწმების შემდეგ მათი გამოყენება;
1.5.ექთანი უფლებამოსილია კოლეჯის ადმინისტრაციას მოსთხოვოს პირველადი გადაუდებელი დახმარების აღმოჩენისათვის აუცილებელი საშუალებებისა და სამედიცინო ინვენტარის შეძენა: წნევის საზომი აპარატი, თერმომეტრი, ჰიგიენის ნივთები და სხვა, აკონტროლოს მათი ხარისხი, შენახვა, და გაცემა.
1.6.ექთანი ვალდებულია, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, პირველადი გადაუდებელი დახმარება გაუწიოს კოლეჯში მყოფ პირებს. სამედიცინო დახმარების აღმოჩენის საჭიროებისას, რომელიც სცილდება ექთნის კომპეტენციის ფარგლებს, მოხდება სასწრაფო სამედიცინო დახმარების გამოძახება და გატარდება შესაბამისი ზომები;
1.7. კოლეჯის ექთანი აწარმოებს პირველადი გადაუდებელი დახმარების საშუალებების აღწერის ჟურნალს, სადაც აღირიცხება გახარჯული, დარჩენილი და ჩამოწერილი საშუალებები. ასევე აწარმოებს პირველადი დახმარების აღმოჩენის რეგისტრაციის ჟურნალს;

მუხლი 2. წესის შემუშავების სამართლებრივი საფუძვლები

2.1 წინამდებარე დებულებას შეიმუშავებს ექთანი შრომის უსაფრთხოების სპეციალისტთან კოორდინაციით რომელიც მტკიცდება დირექტორის ბრძანებით;
2.2. წინამდებარე წესის შემუშავების სამართლებრივი საფუძვლებია:
ა) საქართველოს კანონი ჯანმრთელობის დაცვის შესახებ
ბ) საქართველოს კანონი „პროფესიული განათლების შესახებ“;
გ) საქართველოს კანონი „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“;
დ) საქართველოს ორგანული კანონი „შრომის კოდექსი“;
ვ) შპს მრავალპროფილიანი საზოგადოებრივი კოლეჯი იმედის დებულება.
2.3. წინამდებარე წესში ცვლილებები შედის ამ მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრული საფუძვლების ცვლილების მიხედვით, გამოკვეთილი საჭიროებ(ებ)იდან გამომდინარე.
2.4. წესის გეგმიური შემოწმება ხორციელდება წელიწადში ერთხელ/აქტუალიზება დამდგარი საჭიროების მიხედვით.
2.5. არსებული წესი ძალას კარგავს ახალი წესის (ვერსიის) დამტკიცების შემთხვევაში.

მუხლი 3. პირველადი გადაუდებელი დახმარების უზრუნველყოფა

3.1.თუ შექმნილია ისეთი საჭიროება, რომელიც ცდება ექთნის კომპეტენციას სავალდებულოა 112-ზე დარეკვა, რათა დროულად მოხდეს დაზარალებულისთვის სამედიცინო დახმარების აღმოჩენა. 3.2.112-ზე დარეკვა შესაძლებელია ნებისმიერი სატელეფონო საშუალებიდან ყოველგვარი წინარე კოდის გამოყენების გარეშე. პირი რომელიც განახორციელებს 112-ზე შეტყობინებას ვალდებულია ოპერატორს მიაწოდოს სრული ინფორმაცია: ტელეფონის ნომერი, მისამართი, შემთხვევის ადგილმდებარეობა, არის თუ არა პოლიციის, სახანძრო საშუალებების თუ დამატებითი სამედიცინო დახმარების საჭიროება. საჭიროების შემთხვევაში უნდა განახორციელოს 112-ის ზარის მიმღები პირის მითითებები.
3.3.სამედიცინო სამსახურის მოსვლამდე უნდა გაუწიოთ შესაბამისი დახმარება დაშავებულ ან ავადმყოფ პიროვნებას მანამ სანამ:
დაზარალებულს არ შეატყობთ აშკარა სიცოცხლის ნიშანს, მაგალითად სუნთქვას.
სხვა გამოცდილი პიროვნება ან სასწრაფო დახმარების პერსონალი არ მოვა.
იმდენად არ დაიღლებით, რომ ვეღარ გააგრძელოთ საქმიანობა.
სიტუაცია ან გარემო საფრთხისშემცველი გახდება.

3.4. სასწრაფო სამედიცინო დახმარება სასწრაფო სამედიცინო დახმარების გამოძახება ხდება თუ დაზარალებული იმყოფება შემდეგ მდგომარეობაში:

- არის უგონოდ;
- აქვს სუნთქვის პრობლემები (არ სუნთქავს ან გახშირებულად სუნთქავს);
- აქვს ტკივილი გულმკერდის ან მუცლის არეში;
- აქვს ძლიერი სისხლდენა ან ღებინება;
- სავარაუდოდ მოწამლულია მედიკამენტით, ქიმიური ნივთიერებით ან გაზით;
- სავარაუდოა ან აშკარაა რომ აქვს თავის, კისრის ან ხერხემლის დაზიანებები ასევე, დარეკეთ 112-ზე ან ადგილობრივი სამედიცინო დახმარების ნომერზე მაშინვე, როცა:
- დაინახავთ ხანძარს ან გაიგებთ აფეთქების ხმას და ა.შ.

მუხლი 4. გადაუდებელი დახმარების გაწევისას რისკების პრევენცია

4.1. გადაუდებელი დახმარების გაწევამდე დარწმუნდით, რომ მომხდარი შემთხვევიდან გამომდინარე საფრთხე აღარ არსებობს. შეაფასეთ სიტუაცია:

- არის თუ არა გარემო უსაფრთხო?
- როგორ მოვიქცეთ თუ საფრთხე ჯერ კიდევ არსებობს?
- რა მოხდა?
- რამდენი ადამიანია დაზარალებული?
- არის თუ არა ვინმე სხვა, ვინც ასევე დაეხმარება დაზარალებულებს?
- როგორ მდგომარეობაში არიან დაზარალებულები?

4.2. გადაუდებელი დახმარების გაწევისას დაიცავით შემდეგი წესები:

- აიცილეთ კონტაქტი სისხლთან ან მსგავს სითხეებთან.
- მოერიდეთ სისხლიან იარაღებთან შიშველი ხელით შეხებას.
- გამოიყენეთ სასუნთქი გზების დამცავი პირბადეები.
- დახმარების გაწევისას გამოიყენეთ დამცავი ხელთათმანები.
- ვიდრე დამცავ საშუალებებს გამოიყენებდეთ ბინტით შეიხვიეთ თქვენი ნებისმიერი ჭრილობა ან ნაკაწრი.
- არ მირთვათ საკვები, არ დალიოთ სასმელი, ასევე არ შეეხოთ თქვენს პირს, ცხვირს, ან თვალებს დახმარების გაწევისას, აგრეთვე დახმარების გაწევის შემდეგ, ვიდრე არ დაიბანთ ხელებს.
- დახმარების გაწევის დროს ან მას შემდეგ, ხელების დაბანამდე, შეეცადეთ თავიდან აიცილოთ თქვენს ისეთ პერსონალურ ნივთებთან შეხება, როგორებიცაა საწერკალამი ან სავარცხელი.
- არ შეეხოთ ნივთებს, რომლებზეც შეიძლება მოხვედრილი იყოს სისხლის კვალი.
- თან იქონიეთ პირველადი დახმარების ჩანთა, რომელშიც იქნება სამედიცინო ხელთათმანები, პირბადე, თვალების დამცავი და სხვა ყველა საჭირო ინვენტარი.
- როდესაც მორჩებით გადაუდებელი დახმარების გაწევას ხელები კარგად დაიბანეთ საპნით და თბილი, გამდინარე წყლით, მაშინაც კი თუ მოქმედებდით სამედიცინო ხელთათმანების გამოყენებით.
- შეატყობინეთ სასწრაფო დახმარების პერსონალს თუ პირველადი დახმარების გაწევის დროს მოგიწიათ დაზიანებული ან ავადმყოფი ადამიანის სისხლთან შეხება.

მუხლი 5. პირველადი გადაუდებელი დახმარების ხელჩანთა

5.1 პირველადი გადაუდებელი დახმარების ხელჩანთა(შემდგომში „ხელჩანთა“) განთავსებულია კოლეჯის შენობის ყველა სართულზე შესაბამისი აღნიშვნით.

5.2. ხელჩანთა შეიცავს ყველა იმ ხელსაწყოს და რესურსს, რომელიც აუცილებელია დახმარების გასაწევად.

მუხლი 6. დოკუმენტის დამტკიცების, ცვლილებების შეტანის წესი და პროცედურა

6.1. წინამდებარე დოკუმენტი მტკიცდება კოლეჯის დირექტორის ბრძანებით;

6.2. დოკუმენტის აქტუალიზება (გადახედვა) წარმოებს სავალდებულოდ 36 თვეში ერთხელ, თუმცა საჭიროებისამებრ შესაძლებელია დოკუმენტი გადაიხედოს სხვა უფრო მცირე ვადაში;

6.3. დოკუმენტის აქტუალიზება (გადახედვა) ხორციელდება კოლეჯის შრომის უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელ პირთან შეთანხმებით;

6.4. დოკუმენტში ცვლილება ხორციელდება იმ ნორმატიული დოკუმენტების მოთხოვნებიდან გამომდინარე, რომელთა საფუძველზეც შემუშავდა მოცემული წესი ან/და ცვლილების შეტანის აუცილებლობა განისაზღვრება კოლეჯის პერსონალის ან დირექტორის მიერ;

ცვლილებების აღრიცხვის ფურცელი

ცვლილებათა შეტანის საფუძველი	დამტკიცების თარიღი/ბრძანების ნომერი	შეცვლილი პუნქტები (გვერდები)	პასუხისმგებელი პირის ხელმოწერა
		შეიცვალა დოკუმენტის ვიზუალი, დაემატა სარჩევი, გასწორდა მცირე ტექნიკური უზუსტობები	